

ჩერქეზული (ადიღურის) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიაში¹

(ისტორიული პრობლემები ქართული ონომასტიკონის სინათლეზე. I.)

უძველესი, მწერლობამდისეული, ისტორიის კვლევისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ონომასტიკონს. ისტორიულ წყაროთა ამ კატეგორიის (პირის, გვარის, გეოგრაფიული ობიექტების სახელები....) მნიშვნელობა ადვილად საგრძნობია საქართველოსა და, საზოგადოდ, კავკასიის ისტორიისათვისაც. ტოპონიმ-კა, კერძოდ, ერთადერთი წყაროა საქართველოს მოსახლეობის შემადგენლობის გასარკვევად იმ ხანისათვის, რომელსაც წერილობითი გარდმოცემის შუქი ვერ სწვდება.

ამავე დროს ტოპონიმ-კა მეტად რთული კატეგორიაა ისტორიული წყაროებისა, კერძოდ—თავისი ადვილად ცვალებადი ხასიათის წყალობით, და იმავე მიზეზით მკვლევრისათვის საკმაოდ მესხლეტ გზას წარმოადგენს. საკმაოა აქ დავასახელოთ საქართველოს გეოგრაფიულ სახელთა ცვლილების ორიოდ მაგალითი: 1. ძველი ქართული „ცხუმი“ || „ცხომი“ (აქედან გვარები: ცხომარია, ცხომელიძე) თურქულ მეტყველებაში, რომელიც სიტყვის დასაწყისში თანხმონათა თავმოყრას ვერ ითმენს და რომელსაც არც აფრიკატი „ც“ მოეპოვება, სახეს იცვლის „სუხუმ“-ად, რაც ბატონდება კიდევაც; 2. არა ნაკლებ ცნობილი საქართველოს ძველ ისტორიაში პუნქტი, „კლდე-კარნი“ (კლდე-კარი) თურქულივე მეტყველების წრეში იცვლება „გოდაკლჟარ“-ად, რაც მკვიდრდება რუსულ რუკებზე; 3. „ერთაწმინდა“, სახელწოდება თავისი ძველი ტაძრით განთქმული სოფლისა ქართლში (წითელ-ქალაქთან), მოდის „ესტატე წმინდა“-დან (წმ. ესტატეს სახელზე იყო აშენებული ხსენებული ტაძარი); განვითარების მთავარი ეტაპები აქ იქნება: ესტატ-წმინდა — ესთა-წმინდა (დადასტურებული გვაქვს დოკუმენტალურად) — ერთა-წმინდა.....

ცხადია, რომ ტოპონიმ-კა ადვილად შესაძლოა ზღვა შეცთომების წყაროდ იქცეს, მეთოდოლოგიური სიმკაცრის ოდნავი შესუსტების პირობებში. გასაგებია აგრეთვე, რომ ტოპონიმ-კაში ყველაზე დიდ სიფრთხილეს მკვლევრისაგან ინდივიდუალური მოვლენები მოითხოვს და ყველაზე საიმედო მისთვის ტიპოლოგიური ანალიზი რჩება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა გეოგრაფიული სახელების მორფოლოგია....

¹ ამოღებულია მოხსენებიდან, რომელიც წაკითხული იყო სტალინის სახ. თბ. სახ. უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის, კ. მარქსის გარდაცვალების 50 წლისთავისადმი მიძღვნილს. საჯარო სხდომაზე 1933 წლის 26.VI-ს და ოთხი უნივერსიტეტის კონფერენციაზე 1936 წ. 28 მაის, ქ. თბილისში.

საქართველოს ტოპონიმიკის ტიპური მორფოლოგიის მხრივ განხილვისას ჩვენი ყურადღება მიიქცია დას. საქართველოს გეოგრაფიულმა სახელებმა -ფსა დაბოლოებით, პირველ რიგში—სუფსა-მ, დიდმა მდინარემ გურიაში. ფორმანტის გამოყოფაში გვშველიდა იმ მთის (და სოფლის) სახელი, სადაც სათავე აქვს ამ მდინარეს: სურები. რადგანაც -ები აქ ქართული მრავლ. რ. დაბოლოება ჩანს (შეადრ. ტოლა და ტოლები, გურიაშივე) საფიქრებელი ხდებოდა რომ მდინარემ სახელი მიიღო მთისაგან: სუ-ფსა — სურ-ფსა, ე. ი. „სურის (სურების) მდინარე“.

გეოგრაფიულ (მდინარეების) სახელების ეს ფორმანტი დადასტურდა აფხაზეთშიაც: ლაშფსა (ერთვის ტბას რიწას), ხეფსა || ხეფსა (ერთვის ზღვას გუდაუთის ჩრდ.-დასავლეთით), ააფსა („ბაკლანოვკა“; ერთვის ზღვას გუდაუთის სამხ.-აღმოსავლეთით), გუმსა (მოდის გუმ-ფსა-დან- გუმის წყალი). იგივე ფორმანტი გვაქვს ანაყოფსთა-ს მსგავს წარმოებებში, სადაც ხეობის სახელი, აფხაზურ -თა ფორმანტით ნაწარმოები, შეცთომით გადატანილია მდინარეზე (როგორც „გუმისთას“ შემთხვევაში არა-აფხაზთა მეტყველებაში; ნამდვილად გვაქვს: გუმ—ადგილის სახელი, გუმფსა — გუმსა — მდინარის სახელი, გუმფსთა — გუმსთა — ხეობის სახელი). მართალია, აფხაზურში არსებობს დამოუკიდებლად სიტყვა „აფსთა“ „ხეობის“ მნიშვნელობით, მაგრამ ცალკეულ ხეობათა სახელები, მდინარეთა სახელების მიხედვით, იწარმოება არა ამ სიტყვის მეშვეობით, არამედ მარტივად -თა ნაწილაკის საშუალებით: ბზფთა- ბზიფის ხეობა, კუადღრთა- კოდორის ხეობა და სხვა.

ახალი არე მოცემულ სტრუქტურის სახელთა გავრცელებისა და მათი სიძველე დადასტურებულია ანტიკური და ადრინდელ-ფეოდალური წყაროებით. ჭოროხი, მაგ., ანტიკურ მწერლობაში ზოგჯერ აკამფსი-დ იწოდება [1]. მართალია, ძველი მწერლები ცდილობენ ეს სახელი ბერძნული ეტიმოლოგიის მქონედ გამოაცხადონ, მაგრამ აშკარაა რომ აქაც, ისე როგორც სხვა შემთხვევაში, ჩვენ მხოლოდ ადგილობრივი სახელის გააზრიანებასთან გვაქვს საქმე. სომხური ანონიმური გეოგრაფია გვაწვდის დიდად საყურადღებო ცნობას, რომ ჭოროხს „ეგრისელნი აკამსისს უწოდებენ, ხალდები-კი—აკამარ“-ს [2]. ამ მოწმობით: ა) ფორმა „აკამსისი“, ე. ი. აკამფსისი“ (შეადრ. გუმსა || გუმფსა) ადგილობრივაც იხმარებოდა; ბ) ფუძე ამ სახელწოდებისა სხვა გაფორმებითაც იყო მოცემული, ვინაიდან (კ)აკამ-ფს-ის და კაკამ-არ ერთიდაიმავე ფესვის ნაყარი უნდა იყოს (საძიებელია -არ ნაწილაკის მნიშვნელობა; ხომ არ არის იგი ნაშთი ქანურ წკარ || წარ-ისა, „წყლის“ აზრით?). ანონიმი ბიზანტიელი გეოგრაფი, რომელმაც არიანეს პერიპლი შეავსო ახალი ცნობებით, ამბობს რომ მის დროს (V ს. ახ. წ.) მდ. ჰიპს (თანამედროვე აფხაზეთში) ლაგუმფსა ეწოდებოდა. ჩერქეზული ტერიტორიისათვის იგივე ავტორი გვამცნობს რომ ძველ ლაზიკაში „არის ამჟამად ეგრეთწოდებული ნიკოფსის, რომლის ახლო დის მდინარე, ამჟამად წოდებული ფსახაფსის-ად“. იქვე ძველ ახეასთან დასახელებულია მდ. ტოფსიდა [3].

ნიკოფსია, უკეთ—ნიკოფსი კარგად არის ცნობილი საქართველოს ისტორიიდან და ეს სახელი შენახულია დღემდის ადგილობრივ „ნიგეფსუხვა“-ს

(Ничепсухо) სახით: მდ. ნიგეფსუხვას სათავეებთანვე იღებს თავის სათავესაც ჩრდილოეთისაკენ მიმდინარე „ფსაჟჟაფსა“ (Псекупс), რომელიც, რათქმაუნდა, არის ანონიმის „ფსახაფსის“.

ამრიგად, -ფსა, როგორც მდინარეთა სახელების მაწარმოებელი ფორმანტი, ექვს გარეშე აღმოჩნდა. ასევე უდავო იყო ჩვენთვის რომ ეს ნაწილაკი არის ჩერქეზ. სიტყვა „ფსჯ“, რომელიც ნიშნავს „წყალი“, „მდინარე“ და რომელიც აწარმოებს მრავალი მდინარის სახელს. ჩერქეზთა ყოფილს ან აწინდელ ტერიტორიაზე (ფუნქციურად შეადრ. ქართ. „წყალი“: „ცხენისწყალი“ და სხვა). ფონეტიკური შესატყვისობა: ა და ჯ (ფსა, ფსჯ) შესაწყნარებელია (აფხაზურისთვის ეს შესატყვისობა წესსაც-კი შეადგენს). ამგვარი ჩერქეზული სახელების ამოცნობა ძნელი არ არის რუსულ რუკებზედაც. იხ., მაგ., ხუთვერსიან რუკაზე: მდ. Туапсе. იმავე სახელწოდების ქალაქთან; მათი სამხრეთით მდ. Шепси და მდ. Макопсе; ტუაფსეს ჩრდილოეთით — მდ. Куженис, ერთვის შავ ზღვას, მდ. Псекупс, დის ყუბანისაკენ, და მისი შენაკადები Хотипс და Чепси; იქვე, დასავლეთით, Безенис; მდ. Курджипис, ქალ. მაიკოპის რაიონში; Чекупс, ყუბანის ქვემო წელზე; მის აღმოსავლეთით მდინარეები Псебс, Хопс, Күнипс, Азипс, Афипс და სხვანი, რომელთა შორის კერძოდ უნდა აღვნიშნოთ მდ. Сүпс, ქ. კრასნოდარიდან პირდაპირ ხაზზე, სამხრეთით, სტანიცა კალუჟსკაიასთან.

შემდეგ ჩვენი ყურადღება მიიქცია, თავდაპირველად იმავე სუფსის ახლო მდებარე რაიონში, ანალოგიურმა მაწარმოებელმა -ყ ვ ა-მ. ამგვარი სტრუქტურის სახელები თავმოყრილი აღმოჩნდა ხინო-დაგვას მთებთან: მდ. ა გ ი და ყ ვ ა, ერთვის ბეუჯს, მდ. ა ჯ ყ ვ ა, ქობულეთთან, მასზე სოფ. ა ჯ ყ ვ ისთავი, და სოფ. ა ჯ ყ ვ ა, ჩაქვთან, ფოთთან კიდევ — ცნობილი მდ. მ ა ლ თ ა ყ ვ ა; შემდეგ, იმავე აღნაგობის სახელები, მხოლოდ გართულებული ქართული ადგილის -თ- სუფიქსით: ჯ უ რ უ ყ ვ ე თ ი, ნ ა ტ ა ნ ე ბ თ ა ნ, ბ ო ბ ო ყ ვ ა თ ი, ც ი ხ ის ძ ი რ თ ა ნ, მ უ რ ყ ვ ე თ ი, კ ო რ ო ხ ზ ე. -ყ ვ ა-ს მნიშვნელობასა და ფუნქციას შესანიშნავად არკვევდა შემდეგი ფაქტი: მდ. ა ჯ ყ ვ ას სათავეებთან ჩვენ ვხედავთ სახელწოდება ა ჯ -ს (სოფელია, ზემო და ქვემო); აქედან არის ნაწარმოები ა ჯ -ა რ ა-ც, რომელმაც სახელწოდება მისცა ამ მთების სისტემას — ა ჯ ა რ ის ქ ე დ ი — და თვით ოლქსაც; ცხადია, ა ჯ ყ ვ ა ნიშნავს ა ჯ ის მ დ ი ნ ა რ ე ს ისევე, როგორც სუფსა — სურის მდინარეს; მაგრამ ეს ცოტაა: ამგვარს, უკვე ქართულად ნაწარმოებს, მდინარის სახელს ჩვენ ვხედავთ იქვე — „ა ჯ ის წ ყ ა ლ ი“. ა ჯ ის-წყალს სათავე აქვს იმავე მთებში, სადაც ა ჯ ყ ვ ას, ისინი მხოლოდ სხვადასხვა მხარეს დიან. აშკარაა, რომ ა ჯ ყ ვ ა და ა ჯ ის-წყალი ერთიდაიგივე სახელია, სხვადასხვა ენაზე გამოთქმული.

შემდგომმა ძიებამ ამავე ჯგუფის სახელები აღმოაჩინა სხვა რაიონებშიაც: ბ ო ყ ვ ა (შეადრ. ბობოყვათი), რაქაში, ა ყ ვ ა (ასე ეძახიან აფხაზები სოხუმს) და ა ბ ჟ ა ყ ვ ა — აფხაზეთში. დოც. იასე ცინცაძემ, ჩვენი მოხსენების გამო მსჯელობისას, მოგვაწოდა ცნობა ლელე ბ ე რ ი ყ ვ ა ს არსებობის შესახებ გურიაში.

საფიქრებელი იყო რომ ყვა-ც ჩერქეზულ წარმოშობისაა. მაგრამ რადგანაც ამ ელემენტის წარმომავლობის გარკვევა ლიტერატურული წყაროების საშუალებით უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე -ფსა-სი, ჩვენ ეს საკითხი იმ სა-

კითხების წრეს მივითვალეთ, რომელთა შესწავლაც ადგილობრივ მიგვაჩნდა საჭიროდ. რამდენიმე მოგზაურობის დროს ჩერქეზებში 1929 წელს (გაზაფხულზე შავიზღვისპირელ შათსულებში და აღიღეს ავტონომიური ოლქის შათსულებსა, ბზადულებსა, ქემგულებსა, აბაძახებსა, მამხელებსა, ბასლინაებსა და ყაბარდოელებში, ზაფხულში კიდევ—ყაბარდოს ავტონომიურ ოლქში) გაირკვა, რომ ყვა-ც უდავოდ ჩერქეზული სიტყვაა, „ღელე-ს“, „ხევი“-ს, „ხეობა“-ს მნიშვნელობით, დამახასიათებელი ყაბარდოული ენაკავისათვის, და ტოპონიმიკური მაწარმოებელი ელემენტი უპირატესად სწორედ ყაბარდოელების ტერიტორიაზე. რუსულ რუკაზე ეს სახელები ისეა გადმოცემული რომ მათი ამოცნობა ძნელია. აი, მაგალითები დიდი ყაბარდოს ტერიტორიიდან: ქეჯუტა—ხევი და ადგილი=Чекюко, ხევი დუმანჯუტა=Деменюк, ხევი და მთა ჭანდჯუტა=Фандюко, ხევი და აული შაჰალჯუტა=Шалушка, ხევი და მთა ჰაიუტა=Хаяко, ხევი არალაიუტა=Аргаяко, მდ. გეადჯუტა=Гедюко, რომელიც ასე მოგვაგონებს ქართ. აგიდაყვას, მდ. ეაკეპწყაყუტა=Экешко, მდინარე და მთა სარჯუტა=р. Сарджуко, г. Сергиюко, მდ. მესტყუტა („დათვისხევი“) და მრავალი სხვა. ასეთივე სახელები გვხვდება აგრეთვე სხვა ჩერქეზი ტომების ტერიტორიაზედაც, მაგრამ მათზე აქ აღარ შევჩერდებით.

ამრიგად, უეჭველი გახდა რომ დას. საქართველოს -ყვა-ზე დაბოლოებული გეოგრაფიული სახელები აგრეთვე ჩერქეზული წარმოშობისაა. ამ შემთხვევებმა გვაფიქრებინა რომ შესაძლებელია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩნდეს მესამე ჩერქეზული ტოპონიმიკური მაწარმოებელიც—„ფა“. ამ სიტყვის პირველადი მნიშვნელობაა „ცხვირი“, მეორადი-კი—მრავალი, მათ შორის—„ბოლო“, „შესართავი (მდინარისა)“ [4]. მდინარის სახელი და ეს სიტყვა ერთად ხშირად აწარმოებენ იმ ადგილების სახელებს, რომელნიც მოცემული მდინარის შესართავთან მდებარეობენ: აული აჭჯფსჯფ, მდ. აჭჯფს-ის შესართავთან, ლაბჰფ, მდ. ლაბას შესართავთან=Усть-Ланьинская (თარგმანია ჩერქეზულიდან!), სოფ. ულაფ, მდ. ულა-ის შესართავთან, და სხვა. შესაძლებელია, ამ სტრუქტურისა იყოს „ბზუტ“ (აფხაზეთში), თავდაპირველი „ა-ბას-ა-ფ(ა)“-დან (შეადრ. მდ. ავასკ-ი არიანესთან). ამ შემთხვევაში უნდა მიგველო რომ „ბზუტ“ თავდაპირველად იყო მდინარის შესართავთან მდებარე პუნქტის სახელწოდება და შემდეგ გადავიდა თვით მდინარეზე. ჯერჯერობით ნაკლებ სარწმუნოა „ხოფა“-ს კავშირი ამავე კატეგორიასთან....

ზემოთქმულის გათვალისწინებით, საქართველოს ტერიტორიის გარკვეულ ნაწილში ჩერქეზული ტოპონიმიკა უდავოდ დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს (საცილობელი საკითხები ამ წერილში ჩვენ არც აღვიძრავს), ეს-კი აქ ჩერქეზული მოსახლეობის ოდინდელი არსებობის ნაკვალევია.

აქ უნდა მივუთითოთ რომ საქართველოს გეოგრაფიული სახელები ფსა-ზე (სუფსა, ახჯფს, ააფს, ხჯფს, ლაშჯფს) და ფა-ზე (ხოფა) ამჟამად აღნიშნულია როგორც ჩერქეზული გეოგრაფიული სახელები აგრეთვე აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ [5].

ამასთან დაკავშირებით, გასარკვევია სახელწოდება ფაზისი, რომელსაც, ვგონებთ (სათანადო პუბლიკაცია ამჟამად ხელთ არა გვაქვს), თავის დროზე სენ-მარტენი—ჩერქეზულ ფსგ-ს უკავშირებდა. საყურადღებოა რომ ფაზისს

ბერძნები და შემდეგ ბიზანტიელები ეძახდნენ არა მარტო რიონს, არამედ აგრეთვე ჭოროხსაც და არაქსსაც, რაც სათანადო ფუძეს უფრო ზოგად მნიშვნელობას აძლევს¹. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია შემდეგი: ბერძნულ ფორმათა ჩვენების მიხედვით, ფუძე ნამდვილად აღდგება ფასიდ-ის სახით; „ფასიდ“ იმავე ძირისაა, როგორც ქართული ფოთი || ფუთი, რადგანაც შესატყვისი ძველი სომხური ფორმა *ფიქს*, „ფოძთ“ || „ფუძთ“, გვაგულისხმებინებს ქართულშიაც წინამორბედ ფორმას „ფასთ“ (: ს → ჯ || ჰ → 0; ბოლო თანხმოვნებს შორის შესაძლოა ხმოვანი იყოს ამოღებული) || „ფო/უსთ“ (მეტად საყურადღებოა სოფლის სახელი „ფუთი“ ზემო იმერეთში: ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ამჟღავნებს ფოთ/ფუთ სახელის კავშირს „ფასიდ“-თან და ემოწმება ძველების წარმოდგენას ფასიდის მიმდინარეობის შესახებ: რიონი ყვირილამდე, შემდეგ ყვირილა ძირულამდე და შემდეგ, უკვე ნაკლები სარწმუნოობით, ძირულა-ჩხერიმელა?). ჯერ კიდევ სარკვევია, ამ სახით აღდგენილ სახელს იგივე ჩერქეზული სიტყვა უძევს ფუძედ თუ არა, ე. ი. ემთხვევა თუ არა ფას და ფსა ფუძეებზე ერთმანეთს?

დადებითი პასუხის შემთხვევაში: ა) ქართული გაფორმება (-თ- სუფიქსი) განეკუთვნება ძალიან ძველ დროს, რომელიც წინ უსწრებს ბერძნულს ლიტერატურულ ტრადიციას კოლხეთის შესახებ; ბ) დამატებითი მასალა შეგვეძინება წინარექართული, ჩერქეზული მოსახლეობის გავრცელების შესახებ (ჭოროხისა და არაქსის ხეობათა სათანადო სექტორები).

ცალკე უნდა განხილულ იქნას „ბასიან“-ის (ძვ.-ქართ. პროვინცია) სახელწოდების კავშირი ამავე ფუძესთან, სახელწოდება „აქარა“-ს მნიშვნელობა და მისი, ისევე როგორც „ბასიან“-ის, გავრცელების არე.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი
ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი
აკად. ნ. მარის სახელობის
თბილისი

(შემოვიდა რედაქციაში 12.10.1940)

ИСТОРИЯ

С. Н. ДЖАНАШИА

ЧЕРКЕССКИЙ (АДЫГЕЙСКИЙ) ЭЛЕМЕНТ В ТОПОНИМИКЕ ГРУЗИИ

Резюме

На основе анализа современных и исторических данных по топонимике Грузии, автор считает бесспорным существование, среди географических названий Грузии, двух черкесских (адыгейских) морфологических типов:

¹ ამ საკითხების შესახებ უფრო დაწვრილებით—ავტორის დასაბეჭდად გამზადებულ შრომაში „კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიიდან“.

1. Названия рек на *psa*, *psə*; р. Супса (в Гурии; от Сур-пса=Сурская, т. е. Суревская река, имеет истоки в Суревских горах); реки в Абхазии—Лашпсы, Хепсы, Аалсы, Гумсы (от Гумпсы) и другие; исторически данные названия—Акампси=(Чорохи) и Лагумпса (Ипп). Словообразовательный элемент—черк. *psə*=«вода», «река».

2. Названия речек (и местностей) на *qwä*: Агидаква, Ачкава, Малтаква и др. (в Гурии); Боква (в Раче); Аква, Абжаква (в Абхазии); с наращением грузинского локативного суффикса *t*—Джуруквети, Бобоквати, Мурквети (Гурия—Адчара). Словообразовательный элемент—черк. (кабард.) *qwä*=«овраг», «балка», «ущелье», «речка».

Предположительно высказывается мнение о возможности объяснения структуры названия Бзып, Бзэр (река в Абхазии), при помощи черкесского *рă*=«нос», «конец», «устье реки». При этом допускается возможность последующего перенесения названия местности при устье реки на реку.

Установленные факты толкуются как наследие доисторического черкесского (адыгейского) населения в Грузии.

Оставлен открытым вопрос о связи основы названия Фасид (Фазис)—*fas* с первой категорией имен.

Грузинский филиал АН СССР
Институт языка, истории и материальной
культуры им. акад. Марра
Тбилиси

ციტირებული ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. Ἄρθρον Περὶ πλοῦς... § 9: Geogr. gr. min., p. 374.
2. *Աշխարհացոյց Մովսէսի Խորենացիոյ յաւելումովք նախնեաց, Վենետիկ, 1881, 35.*
3. Известия древних писателей, греческих и латинских, о Скифии и Кавказе. Собрал и издал с русским переводом В. В. Латышев. I, 1893, стр. 275, 278.
4. Н. Яковлев. Материалы для кабардинского словаря, М. 1927, XXVI—XXVII.
5. Акад. И. А. Джавахишвили. Основные историко-этнологические проблемы истории Грузии, Кавказа и Ближнего Востока древнейшей эпохи. Вестник древней истории, 1939, № 4, стр. 42—45.